# საქართველოს პარლამენტის

# დადგენილება

**საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, თავდაცვის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 198-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად
საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი) 2024 წელს: არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) სამხედრო მოსამსახურისა; მათგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსი – არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) სამხედრო მოსამსახურისა.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული თავდაცვის ძალების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება საომარი მდგომარეობის ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს, აგრეთვე სარეზერვო სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირების რაოდენობასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებულ დროებით შტატებზე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 15 დეკემბრის №2380-IXმს-Xმპ დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21.12.2022, სარეგისტრაციო კოდი: 120090000.09.001.016725).

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე** **შალვა პაპუაშვილი**

**თბილისი,**

**15 დეკემბერი 2023 წ.**

**N3973-XIIIმს-Xმპ**